

PATTERNS OF ARCHAIC LEXICS IN PONTIC GREEK SPEECH OF AJARA

არქაული ლექსიკის კვალი აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

Teona Abuladze

Doctor of Philological Sciences,
 Assistant Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
 Batumi, Rustaveli/NinoShvili st., 32/35, 6010, Georgia,
 +995 595917363, teona.abuladze@bsu.edu.ge
<https://ordic.org/0009-0005-3622-1870>

Abstract. The Pontic dialect developed in isolation over the years due to certain historical, geographical, and political conditions, which resulted in significant divergence from both the mother tongue and other dialects of the native language. It is also worth noting that Pontic is more conservative than other dialects of modern Greek, which has contributed to the preservation of ancient Greek lexical items within it.

The dialect spoken by the Pontic Greeks in Adjara exhibits significant characteristics across all levels of the linguistic hierarchy, particularly in vocabulary, especially in the context of foreign linguistic influences, which makes it an important subject for research.

The study of the Pontic dialect spread throughout Georgia is particularly interesting because it developed in a distinct multilingual environment and was naturally influenced by other languages. However, it has managed to retain its uniqueness despite these external influences, as evidenced by the presence of archaic Greek lexical units.

In analyzing the research material with the aim of classifying archaic forms, we can identify several groups:

1. Lexical units that are either absent from modern Greek or have undergone changes but have been preserved in Pontic, such as $\rho\acute{\alpha}\phi\omega$ (sewing) - კერვა, $\sigma\acute{\iota}\varsigma$ (back) - უკან.
2. Lexical units that are phonetically altered but are believed to be directly related to ancient Greek, such as $\omega\beta\acute{\omicron}\nu$ (egg) - კვერცხი, $\chi\alpha\lambda\kappa\acute{\omicron}\nu$ (kettle) - ქვაბი.
3. Some lexical units with synonymous equivalents in both modern and ancient Greek are also present in Pontic, with one variant being preserved, such as $\sigma\kappa\alpha\phi\acute{\iota}\rho$ - ტაშტი, გობი.
4. Pontic vocabulary often results from the combination of two words from ancient Greek, such as $\alpha\gamma\rho\acute{\epsilon}\iota\pi\omicron\nu$ - ჯეირანი.
5. Certain words that have not undergone any changes at any stage of linguistic development are confirmed in Pontic and have been preserved in their original forms, such as $\gamma\omega\sigma\acute{\iota}\alpha\nu$ - კუთხე and others.

Keywords: Archaisms, Pontic Greeks, Pontic dialect, Speech, Linguistics.

თეონა აბულაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასისტენტ პროფესორი,

ბათუმი, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. 32/35, 6010, საქართველო

+995 595917363, teona.abuladze@bsu.edu.ge,

<https://ordic.org/0009-0005-3622-1870>

აბსტრაქტი. პონტოური დიალექტი წლების განმავლობაში იზოლირებულად ვითარდებოდა, რაც, თავის დროზე, გარკვეულმა ისტორიულ-გეოგრაფიულმა თუ პოლიტიკურმა პირობებმა განაპირობა, შესაბამისად, დიალექტი საგრძნობლად დაშორდა როგორც დედა ენას, ასევე მშობლიური ენის სხვა დიალექტებსაც. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პონტოური თანამედროვე ბერძნული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით უფრო კონსერვატიულია, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ძველი ბერძნული ლექსიკური ერთეულების შენარჩუნება პონტოურში.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა დიალექტი უცხო ენობრივი გავლენების ფონზე, მნიშვნელოვან თავისებურებებს ავლენს ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, განსაკუთრებით ლექსიკაში, რაც საკვლევად უდავოდ მნიშვნელოვანია.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პონტოური დიალექტის კვლევა, ვფიქრობთ, იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ აქ დიალექტი განსხვავებულ მულტილინგვურ გარემოში მოხდა და, ბუნებრივია, სხვა ენათა დიდი გავლენაც განიცადა, თუმცა, უცხო ენათა გავლენების ფონზე არ დაუკარგავს თვითმყოფადობა, რაზეც ნათლად მეტყველებს მასში არქაული ბერძნული ენის ლექსიკური ერთეულების არსებობა.

საკვლევი მასალის ანალიზისას, არქაულ ფორმათა კლასიფიცირების მიზნით, გამოვყოფთ რამდენიმე ჯგუფს, კერძოდ:

1. დასტურდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც თანამედროვე ბერძნულში ან საერთოდ არ გვხვდება, ან სახეცვლილია, მაგრამ შემოუნახავს პონტოურს, როგორიცაა **ράφτα** (კერვა), **οπίς** (უკან) და სხვა.

2. გამოვლინდა ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ფონეტიკურად სახეცვლილია, თუმცა მიგვაჩნია, რომ უშუალოდ ძველ ბერძნულთან უნდა იყოს დაკავშირებული, ასეთია: **αβόν** (კვერცხი), **χακόν** (ქვაბი) და მისთ.

3. თანამედროვე და ძველ ბერძნულში სინონიმური შესატყვისის მქონე ლექსიკურ ერთეულთა ნაწილი პონტოურშიც დასტურდება, თუმცა პონტოურს ერთ-ერთი შემოუნახავს, როგორიცაა: ტაშტი, გობი - **σιαφίρ** (სკაფირ)..

4. ცალკე გამოვყოფთ პონტოურ ლექსიკას, რომლებიც მეტწილად ძველი ბერძნული ენის ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული, როგორიცაა **ჯეირანი** **αγρείπον** (ჯეირანი)...

5. პონტოურშიც დასტურდება სიტყვები, რომლებსაც ენის განვითარების არცერთ ეტაპზე ცვლილება არ განუცდიათ და პონტოურშიც ასეთივე ფორმით შენახულა, მაგ. **Γανίαν** - კუთხე და მისთ.

საკვანძო სიტყვები: არქაიზმები, პონტოელი ბერძენები, პონტოური დიალექტი, მეტყველება, ლინგვისტიკა.

შესავალი. ბერძნული ენის ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ძველი დიალექტების გაქრობის კვალდაკვალ, დაიწყო ახალი დიალექტების და კილოების ჩამოყალიბების პროცესი, რომელთა შორისაც თავისი ბგერითი შემადგენლობითა და გრამატიკული სტრუქტურით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პონტოს დიალექტს. პონტოური გავრცელებულია ძირითადად ანატოლიის მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში. მიგრაციის შედეგად ამ დიალექტზე მოლაპარაკენი ცხოვრობენ სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის საქართველოშიც (გორდეზიანი, დარჩია & შამანიდი, 2001: 17). სახელწოდება „პონტოს“ მცირე აზიის გარკვეული ტერიტორიის მიმართ, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე გამოიყენებოდა. ამ პერიოდიდან პონტოელთა ცხოვრებაში მრავალმა წყალმა ჩაიარა. ისინი ხან რომის იმპერიის, ხან ბიზანტიის, ხან საქართველოს, ბოლოს კი ოტომანთა იმპერიის ქვეშევრდომნი იყვნენ. იცვლებოდა ისტორიული ვითარება, იცვლებოდა მათი ენაც, მაგრამ უცვლელი დარჩა მათი სახელწოდება - „პონტოელი“. სწორედ ამიტომ საქართველოში, რუსეთში, აშშ-ში, კონტინენტურ საბერძნეთში დამკვიდრებულ თურქეთის ამ რეგიონიდან წამოსულ ბერძნებს ერთხმად ვუწოდებთ „პონტოელ ბერძნებს“, ხოლო მათ დიალექტს პონტოურს (ბერძენიშვილი, გარაყანიძე, გორდეზიანი, მიქაბერიძე, ტონია, ფხაკაძე, შახპაზიდი, ჩეპიდი & ჯანაშია, 1990: 34).

პონტოს რეგიონის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, აქ მცხოვრებ ელინთა გამუდმებულმა კონტაქტებმა სხვადასხვა ხალხთან, განსაზღვრა პონტოური დიალექტის სხვა, ბერძნული დიალექტისგან მკვეთრად გამორჩეული ხასიათი. უნდა აღინიშნოს, რომ პონტოურ დიალექტს თანამედროვე ბერძნული ენის დიალექტთა შორის დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს, იმდენად დამოუკიდებელი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არის აზრი პონტოური დიალექტის ცალკე ენად მიჩნევისა, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა პონტოურს აღიარებს არა როგორც დამოუკიდებელ ენას, არამედ როგორც ბერძნული ენის დიალექტს. აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა მეტყველებაზე დაკვირვება ამ შეხედულების საფუძველს იძლევა.

აჭარაში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გამო ერთგვარად დაშორდა ბერძნული ენის პონტოს დიალექტის სხვა შტოებს - დღემდე მეტყველებს პონტოს დიალექტზე და თავის სამეტყველო ენას „პონტოურს“ უწოდებს სხვადასხვა ვარიაციით – პონტოური/პონდიური/პონტიური/პონდიაკა/პონდიაკა.

უნდა აღინიშნოს, რომ პონტოელი ბერძნების შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს, თუმცა ამ გამოკვლევებში ნაკლებად არის შესწავლილი აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენთა მეტყველება წმინდა ლინგვისტურ და სოციოკულტურულ ჭრილში. მნიშვნელოვანია რისმაგ გორდეზიანის ღვაწლი ბერძნული ცივილიზაციისა და ისტორიის საკითხების შესწავლაში (იხ. გორდეზიანი, 2007; გორდეზიანი, დარჩია & შამანიდი, 2001). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ესტატე ლაზარევის, წარმომოხებით პონტოელის, ღვაწლი. სწორედ ლაზარევის ხელნაწერებს ეყრდნობა ერთობლივი მონოგრაფია „ბერძნები საქართველოში“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის ეგიდით გამოსცა ავტორთა ჯგუფმა (ლ. ბერძენიშვილი, ი. გარაყანიძე, რ. გორდეზიანი, ა. მიქაბერიძე, ნ. ტონია, მ. ფხაკაძე, მ. შახპაზიდი, ა. ჩეპიდი, ნ. ჯანაშია). მონოგრაფია გამოცემულია 1990 წელს რ. გორდეზიანის რედაქტორობით. ეს ნაშრომი, ფაქტობრივად, პირველი ცდაა პონტოელ ბერძენთა ისტორიის, კულტურის, ყოფისა და დიალექტის საკითხთა კომპლექსური შესწავლისა (იხ. ბერძენიშვილი, გარაყანიძე, გორდეზიანი, მიქაბერიძე, ტონია, ფხაკაძე, შახპაზიდი, ჩეპიდი & ჯანაშია, 1990). რაც შეეხება თავად პონტოურ დიალექტს, მასზე მრავალი გამოკვლევა არსებობს სხვადასხვა ენაზე, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა ენის შესახებ კვლევები ძალიან მწირია. ბოლო პერიოდში შეინიშნება დაინტერესება პონტოური დიალექტის მიმართ. ამ მხრივ

უნდა აღინიშნოს სვეტლანა ბერიკაშვილის ღვაწლი საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ზოგიერთი საკითხის კვლევის საქმეში (იხ. Berikashvili, 2016; Berikashvili, 2017).

აქვე აღვნიშნავთ, რომ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ ლინგვისტური პრობლემების კვლევით დაინტერესდა ბსუ-ს მკვლევართა ჯგუფი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში და გამოიცა შემაჯამებელი მონოგრაფია „პონტოელი ბერძენები აჭარაში-წარსული და თანამედროვეობა“, თბ. 2017. პროექტით გათვალისწინებული იყო აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიული ცნობებისა თუ საარქივო ფონდებში დაცული მასალების და აჭარაში დამკვიდრებულ ბერძენთა ყოფისა და ენობრივი თავისებურებების კვლევა, რაც ერთიან სურათს ქმნის მათი ისტორიის, კულტურული ფასეულობებისა თუ ენობრივი თვითმყოფადობის შესახებ. საანალიზო მასალა აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩვენ მიერაა მოპოვებული და წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ მასალათა სრულყოფილ ანალიზს.

მეთოდები. ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: საველე მეთოდი (ემპირიული მასალის მოპოვების მიზნით), ლინგვისტური მასალის სტრუქტურული ანალიზი, აღწერისა და შედარების მეთოდი და სინთეზი.

შედეგი. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალისა და ჩვენს ხელთარსებული სამეცნიერო ლიტერატურის ფარგლებში, გავანალიზეთ აჭარის პონტოელთა მეტყველებაში დადასტურებული ის ლექსიკური ერთეულები, რომელთა არსებობაც, ვფიქრობთ, ძველ ბერძნულს უკავშირდება, თანამედროვე ბერძნულში მეტწილად აღარ იხმარება, თუმცა დიალექტს დღემდე შემოუნახავს და დაუცავს, რაც მნიშვნელოვანია ენის განვითარების, ისტორიის საერთო პროფილის საჩვენებლად.

მსჯელობა. თანამედროვე ბერძნული ენის ბევრი ლექსიკური ერთეული, რომლებიც გასულია ხმარებიდან, აღარ გვხვდება, ან სახეცვლილია, -პონტოურს შემოუნახავს, დაუცავს მცირე ფონეტიკური ცვლილებით, ზოგ შემთხვევაში კი ზუსტად ისეთივე ფორმით, როგორც არქაული ბერძნულისთვის იყო დამახასიათებელი.

შევეცადეთ დაგვედგინა რამდენად არქაულია ესა თუ ის ფორმა, ან ენის განვითარების რომელ პერიოდს უკავშირდება.

საანალიზოდ ჩვენს ხელთარსებული მასალის საფუძველზე რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფთ.

ა. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ძველი ბერძნული ენისთვის, თანამედროვე ბერძნულ ენაში კი შეცვლილია, ან საერთოდ აღარ არის, პონტოურს ძველი ფორმით შემოუნახავს, რაც გვაფიქრებინებს ისინი არქაიზმებად მივიჩნიოთ.

ზმნიზედა -უკან პონტოურში **οις** (ოპის) ფორმით დამკვიდრებულა. თანამედროვე ბერძნულში ამავე მნიშვნელობის ზმნიზედას აღნიშნავს **πισα** (პისო), ასეთივე ფორმით დასტურდება შუა საუკუნეების ბერძნულშიც, ძველ ბერძნულში გვხვდება **ο[πισqen** (ოპის(თ)ენ) და **οjpivsw** (კლასიკური **οjpivsw**, შუასაუკუნეების **πισα**, ახ. ბერძნ. **πισα**) ფორმები. **პონტოური οις** (ოპის), ვფიქრობთ, არქაული ბერძნულის ნიშანს უნდა ატარებდეს.

პონტოურში კერვას ეძახიან **ράφα** (რაფტო)/**ράπτα** (რაპტო) τ-ს წინ **π>φ** პროცესის შედეგად, თანამედროვე ბერძნულში გვაქვს **ράβα** (რავო), რომელიც მიღებულია **εραψα** ფორმისგან, ეს უკანასკნელი კი ძველი ბერძნული **ράπτα** ფორმის აორისტია. თუმცა, ეს

ფორმა (ράπτα) დადასტურებულია კათარევუსაშიც, რომელიც დიმოტიკისთან ერთად არსებობდა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ კლასიკური (არქაული) ფორმა შენარჩუნებული იყო შუა საუკუნეებშიც. ამდენად, ძნელია გადაჭრით იმის თქმა, **ράφτα/ράπτα** პონტოურს უშუალოდ ძველი ბერძნულისგან ჰქონდეს მიღებული.

კრეფა, შეგროვებას პონტოურში ეძახიან - **σφεύω** (სერეფო) (ძვ. ბერძნული σφαρεύω). ახალი ბერძნული ამ მნიშვნელობით გამოიყენებს ფორმას - **μαζεύω** (მაზეფო), რაც პონტოურში არ ჩანს. თანამედროვე ბერძნულში **μαζεύω**-ს გვერდით **σφαρεύω**-ც დასტურდება, რასაც ცოტათი განსხვავებული სემანტიკა აქვს (საქმის დაგროვება..). ფორმა უშუალოდ ძველი ბერძნულისგანაა მიღებული. თანამედროვე ბერძნულში **σφαεία** - გროვას, ზვინს, დიდ რაოდენობას აღნიშნავს და მიღებულია გვიანი პერიოდის ბერძნულისგან, ეს უკანასკნელი კი მომდინარეობს არქაული ბერძნულიდან (**σφαεία**<**σφαρεύω**<**αρχ.** **σφαρεύω**<**σφαιρός**) - ავაგროვებ, გროვად დავყრი. მართალია - **σφαρεύω** უშუალოდ ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს, თუმცა დასტურდება გვიანდელი პერიოდის ბერძნულშიც და შემონახული აქვს თანამედროვე ბერძნულსაც, ამდენად, ძნელია პონტოურში ამ ფორმის არსებობა უშუალოდ არქაულ პერიოდს დავუკავშიროთ.

ბ. პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში დასტურდება ლექსიკური ერთეულები, რომელთა არსებობაც უშუალოდ ძველ ბერძნულთან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმცა განსხვავებით ძველი ბერძნულისა, პონტოურში მცირე ფონეტიკური სახეცვლილება განუცდია.

კვერცხი ძვ. ბერძნულში გამოითქმის - **το; w/jon** (ტო ოონ), საკუთრივ პონტოურ დიალექტში **-β**-ს გაჩენით მიღებულია **ωβόν** (ოვონ), აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაში **οβά** (ოვა) ფორმით გვხვდება, ახ. ბერძნულში - **το αυγό** (ტო ავლო).

ყური, ყურები - ძველ ბერძნულად არის - **το; ουλ**, **ατός** (უს, ოტოს) (**მხ.რ. ნათ. ბრ. w|toiv**, **მრ. სახ. w|ta**, **ნათ. w|twn**) **დორიულში wς** (ოს). **პონტოურში** **ατίv, ατία**, (ოტინ, ოტია) ფორმა დასტურდება, რაც ვფიქრობთ, არქაული ბერძნულის ნიშანს უნდა ატარებდეს. ახალ ბერძნულში გვაქვს **το αυτί/το αφί** (ტო ავტი/ავფტი), რომელიც მომდინარეობს ძვ. ბერძნულის **მრ. τα ουτία<τ'αφία<τ' αφί** ფორმისგან.

ქვაბი - ძვ. ბერძნულად - **calkov** (ხალკოს) (სპილენძისგან და ამ ლითონისგან დამზადებული ნივთების მნიშვნელობით), ასევე შემოუნახავს ზოგადად პონტოურ დიალექტსაც - **χαλκόν** (ხალკონ), **აჭარის მკვიდრ ბერძენთა** მეტყველებაში ასიმილაციის გზით ვლელობთ **χαλγόν** (ხალღონ) ფორმას (თუჯის ქვაბი) /**καστρουύλαν** (კასრულან) (რუს. кастрюля), **ახ. ბერძნულში** - **η κατσαρόλα** (კაცაროლა) (ვენეც. cazzerola). **calkov** თანამედროვე ბერძნულშიც დასტურდება და აღნიშნავს სპილენძს, ბრინჯაოს, ლითონს. პონტოური **χαλγόν** ფორმითაც და სემანტიკითაც არქაულ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს.

ზეთისხილი პონტოურში არის - **ελέας** (ელეას), ასევეა **არქაულ** ბერძნულშიც **h Jeilaiva** (ელეა), ახ. ბერძნულში - **η ελιά** (ელია), რაც ძველი ბერძნული **ελαία** -გან არის მიღებული, **ελαί** <**αρχ.** **ελαία**.

გველი - ძველი ბერძნულის მსგავსად პონტოურში არის - **ο φίv** (ოფიდ), ძვ. ბერძნული -**οι οίφι**, **εας, εος** (ოფის) და მამრობითი სქესის სახელია, ახალ ბერძნულში კი საშუალო სქესისაა - **το φίv** (ფიზი), რაც მიღებულია შუა საუკუნეების ბერძნული -**Φίδιv** ფორმისგან. გვიანდელი პერიოდის ბერძნულში კნინობითი ფორმით - **οφίδιον** შენარჩუნებულა, რაც, თავის მხრივ, მიღებულია ძველი ბერძნულის -**οφιδ** ფორმისგან. **φίδι**<**μσν.** **Φίδιv**<**μτγ.** **οφίδιον**<**οφίδιον**<**οφιδ**. პონტოურში **οφίδ** ფორმის არსებობა, შესაძლოა, გვიანდელი პერიოდის ბერძნულის განვითარების შედეგი იყოს.

თხა - პონტოურში გამოითქმის -**εიდ** (ეიდ), მიღებული უნდა იყოს არქაული ბერძნულის **αι|x, aijgo** (ეიქს, ეილოს) ფორმისგან, ახალ ბერძნულში თხის მნიშვნელობით სხვა სიტყვები გვხვდება - **η κασίκα, ο πράγος** (კაციკა, ტრალოს), **γίvα/γίδι** თანამედროვე

ბერძნულში მიღებულია შუა საუკუნეების $\gamma\acute{\iota}\nu\delta\iota$ ფორმისგან, რომელიც მომდინარეობს ძველი ბერძნულის $-\alpha\gamma\acute{\iota}\delta\iota\omicron\nu$ კნინობითი ფორმისგან, ეს უკანასკნელი კი მიღებულია ამავე პერიოდის $-\alpha\acute{\iota}\xi$ -გან, რაც ფარას (თხის) აღნიშნავს ($\gamma\acute{\iota}\nu\delta\alpha/\gamma\acute{\iota}\nu\delta\iota<\mu\sigma\nu$. $\Gamma\acute{\iota}\nu\delta\iota<\alpha\rho\chi$. $\text{A}\gamma\acute{\iota}\delta\iota\omicron\nu<\alpha\acute{\iota}\xi$ - თხა).

პონტოურში $\kappa\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\alpha$ (კერამია) აღნიშნავს კრამიტს, ძველ ბერძნულში გვაქვს h $Jkeramiv\sim$ (კერამის), გვიანდელი პერიოდის ბერძნულში ჩნდება არქაული $\kappa\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\varsigma$ ფორმისგან მიღებული კნინობითი $-\kappa\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\delta\iota\omicron\nu$ (კერამიდიონ) შუა საუკუნეების ბერძნულში გვიანდელი ეპოქის ბერძნულისგან ვღებულობთ $-\kappa\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\delta\iota\omicron\nu$ ფორმას. თანამედროვე ბერძნულში ენის განვითარების შედეგად მკვიდრდება $\kappa\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\delta\iota$ (კერამიდი). ($\kappa\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\delta\iota<\mu\sigma\nu$. $\text{K}\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\delta\iota\omicron\nu<\mu\tau\gamma\nu$. $\text{K}\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\delta\iota\omicron\nu<\kappa\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\varsigma$). აქედან, პონტოური $\kappa\epsilon\rho\alpha\mu\acute{\iota}\alpha$ არქაული პერიოდის ნიშანს უნდა ატარებდეს.

მატლი, ჭია პონტოურში გამოითქმის $-\sigma\kappa\omicron\lambda\acute{\epsilon}\kappa$ (სკოლეკ), რაც არქაული ბერძნულის to ; $skwvlhx$ (სკოლექს) ფორმისგან მომდინარეობს, ახ. ბერძნულში დასტურდება $-\tau\omicron$ $\sigma\kappa\omicron\lambda\acute{\eta}\kappa\iota$ (სკულიკი) შუა საუკუნეების ბერძნულში გავრცელებულია $\sigma\kappa\omicron\lambda\acute{\eta}\kappa\iota\nu$, რომელიც მიღებულია არქაული კნინობითი ფორმისგან $-\sigma\kappa\alpha\lambda\acute{\eta}\kappa\iota\omicron\nu$, ეს უკანასკნელი კი ამავე პერიოდის $-\sigma\kappa\alpha\lambda\acute{\eta}\xi$ -ისგან. პონტოურში $-\sigma\kappa\omicron\lambda\acute{\epsilon}\kappa$ ფორმის არსებობა არქაულ პერიოდს უკავშირდება.

$\mu\epsilon\tau\rho\acute{\upsilon}\gamma\alpha$ (მეტრულა) პონტოურში აღნიშნავს დედინაცვალს, რომელიც არქაული ბერძნულის h $Jmhtruia$ (მეტრუია) ν ფორმის ვარიანტია მიღებული ბგერის გაჩენით, ახ. ბერძნულში ენის განვითარების შედეგად გვაქვს $-\eta$ $\mu\eta\tau\rho\acute{\iota}\alpha$ (მეტრია), რაც არქაული ბერძნული ფორმისგან $\mu\eta\tau\rho\acute{\iota}\alpha<\mu\eta\tau\rho$ მომდინარეობს.

პონტოურში თვალი გამოითქმის $-\omicron\mu\acute{\alpha}\tau$, $\omicron\mu\acute{\alpha}\tau\iota\alpha$ (ომატი, ომატია) ($\omicron\mu\alpha\tau\acute{\iota}\alpha$ (ვაგათვალვა)). ძველ ბერძნულში დასტურდება $-\acute{\omicron}\mu\mu\alpha$ (ომმა) ფორმით, აქედან, ამავე პერიოდში ჩნდება კნინობითი $-\omicron\mu\acute{\alpha}\tau\iota\omicron\nu$ (ომატიონ), შუა საუკუნეების ბერძნულში ენის განვითარების შედეგად მკვიდრდება $-\mu\acute{\alpha}\tau\iota\nu$ (მატინ), აქედან ახ. ბერძნულში $-\tau\omicron$ $\mu\acute{\alpha}\tau\iota$ (ტომატი) ($\tau\omicron\mu\acute{\alpha}\tau\iota$, $<\mu\sigma\nu$. $\text{M}\acute{\alpha}\tau\iota\nu<\alpha\rho\chi$. $\text{O}\mu\mu\acute{\alpha}\tau\iota\omicron\nu$, $\nu\pi\omicron\kappa\omicron\rho$. $\text{T}\omicron\upsilon\acute{\omicron}\mu\mu\alpha$). პონტოურში $\omicron\mu\acute{\alpha}\tau$, $\omicron\mu\acute{\alpha}\tau\iota\alpha$ ფორმები არქაული პერიოდის შედეგი უნდა იყოს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბერძნული ენის ზოგ ლექსიკონში ძველი ბერძნულის $\acute{\omicron}\mu\mu\alpha$ -ც დასტურდება, თუმცა უშუალოდ არქაულისგანაა მიღებული.

ტანსაცმელი $-\lambda\acute{\omega}\mu\alpha\nu$, $\tau\alpha$ $\lambda\acute{\omega}\mu\alpha\tau\alpha$ (ლომან, ლომატა) - უნდა მომდინარეობდეს ძველი ბერძნული $\lambda\omega\mu\acute{\alpha}\tau\iota\omicron\nu$ (ლომატიონ) ფორმისგან, ახალ ბერძნულში ამავე მნიშვნელობის სიტყვაა $\tau\alpha$ $\rho\omicron\upsilon\chi\alpha$, $\rho\omicron\upsilon\chi\omicron\nu$ (რუხა, რუხონ), რომელიც მომდინარეობს სლავური $ruh\omicron$ -სგან.

წამალი $-\phi\acute{\alpha}\rho\mu\alpha\kappa\omicron\nu$ (ფარმაკონ) - ახალში გვაქვს $-\phi\acute{\alpha}\rho\mu\alpha\kappa\omicron$, ძველში მსგავსად პონტოურისა $\phi\acute{\alpha}\rho\mu\alpha\kappa\omicron\nu$. ახალი ბერძნულის ფორმა მიღებულია უშუალოდ ძველისგან ($\Phi\acute{\alpha}\rho\mu\alpha\kappa\omicron<\alpha\rho\chi$. $\phi\acute{\alpha}\rho\mu\alpha\kappa\omicron\nu<\phi\acute{\alpha}\rho\mu\alpha$ ($=\chi\tau\upsilon\pi\eta\mu\alpha$) - დარტყმა, ათქვეფა).

ნესტო -პონტოურში გამოითქმის $\rho\omicron\theta\acute{\omega}\nu$ (როთონ) (მხ.რ.) $\rho\omicron\theta\acute{\omega}\nu\iota\alpha$ (როთონია) (მრ.რ.)/ $\rho\omicron\theta\acute{\omega}\nu$, $\rho\omicron\theta\acute{\omega}\nu\iota\alpha$ ($\rho>\theta$), ახ. ბერძნულში ფონეტიკური გავლენა ($\omicron-\omicron>\omicron\nu-\omicron\nu$) განუცდია $-\tau\omicron$ $\rho\omicron\theta\omega\theta\omicron\nu\iota$ (რუთუნი). იგივე სიტყვა ძველ ბერძნულში გვხვდება ასეთივე ფორმით $-\tau\omicron$; $\rho\lambda\omega\upsilon\upsilon\omega\nu$ ($\rho\lambda\omega\upsilon\upsilon\omega\nu\iota\omicron\nu$ - კნინობითი ფორმა), რომელიც შუასაუკუნეების ბერძნულშიც ამ სახით დასტურდება, თუმცა ამავე პერიოდშივე იწყება ლექსემის ფონეტიკური ცვლილების პროცესი (შუასაუკ. $\rho\theta\omega\theta\omicron\nu\iota\nu<\rho\theta\omega\theta\omicron\nu\iota\omicron\nu<\alpha\rho\chi$. $\rho\acute{\omega}\theta\omega\nu$), რაც საბოლოოდ, თანამედროვე ბერძნულში სახეცვლილი ფორმით მკვიდრდება ($\rho\theta\omega\theta\omicron\nu\iota$). აქედან გამომდინარე, პონტოური ფორმა უფრო არქაულ ბერძნულს უნდა უკავშირდებოდეს.

საცერი პონტოურში გამოითქმის $-\kappa\omicron$ [sh]kiv (კოშკინ), ძვ. ბერძნულში $-\tau\omicron$; $\kappa\omicron\nu\sigma\kappa\iota\omicron\nu$ (კოსკინონ), ასეთივე ფორმითაა დადასტურებული ზოგადად პონტოურ დიალექტში $-\kappa\omicron\sigma\kappa\iota\nu$, ხოლო აჭარის მკვიდრ პონტოელთა მეტყველებაში $\sigma\kappa$ (სკ) კომპლექსი გვაძლევს $sh\kappa$ (შკ) კომპლექსს (დამახასიათებელია აჭარის პონტოელთა მეტყველებისთვის),

თანამედროვე ბერძნულში ამავე მნიშვნელობის სიტყვაა $\sigma\tau\alpha\langle\alpha\rho\chi.\sigma\tau\mu\alpha$ (სიტა) (=κοισινί(ζ)), ამასთან ერთად Κόσινιο ფორმაც დასტურდება ახ. ბერძნულში, თუმცა უშუალოდ არქაულისგან მიღებული.

ხახვი **პონტოურში** არის - $\kappa\rho\omicron\mu\acute{\alpha}\delta$ (კრომიზ), **ძველ ბერძნულში დასტურდება** to; krovmmuon (კრომიონ), ძველი ბერძნულისგან გვიანდელი პერიოდის ბერძნულში $\kappa\rho\epsilon\mu\sigma\omicron\nu$, აქედან შუა საუკუნეებში $\kappa\rho\epsilon\mu\sigma\acute{\alpha}\delta\omicron\nu$, ხოლო თანამედროვე ბერძნულში ფონეტიკურ ნიადაგზე მკვიდრდება $\text{to } \kappa\rho\epsilon\mu\sigma\acute{\alpha}\delta\iota$ (კრემიზი) ფორმით ($\langle\mu\sigma\nu.\kappa\rho\epsilon\mu\sigma\acute{\alpha}\delta\iota\omicron\nu$ კნინ. $\tau\omicron\upsilon\sigma\mu\tau\gamma\nu$. $\text{Κρῆμυσον}\langle\alpha\rrho\chi.$ Κρόμμυσον), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ $\text{to } \kappa\rho\epsilon\mu\sigma\acute{\alpha}\delta\iota$ -ს პარალელურად $\kappa\rho\omicron\mu\sigma\acute{\alpha}\delta\iota$ - ფორმაც დასტურდება თანამედროვე ბერძნულ ლექსიკონში, რაც მიღებულია შუა საუკუნეების Κρομμύδιν ფორმისგან, რაც, თავის მხრივ, მიღებულია გვიანი პერიოდის ბერძნულის $\kappa\rho\omicron\mu\sigma\acute{\alpha}\delta\iota\omicron\nu$ -საგან, ეს უკანასკნელი კი - ძველი ბერძნულის Κρόμμυσον ფორმისგან ($\kappa\rho\omicron\mu\sigma\acute{\alpha}\delta\iota\langle\mu\sigma\nu.$ $\text{Κρομμύδιν} < \mu\tau\gamma\nu.$ $\text{Κρομμύδισον} < \alpha\rrho\chi.$ Κρόμμυσον).

მაგ.: სიზმარი - $\delta\acute{\nu}\epsilon\iota\rho\omicron\nu$ (ონირონ) (პონტ.), ახ. ბერძნულში - $\text{to } \delta\acute{\nu}\epsilon\iota\rho\omicron$, ძვ. ბერძნულში **-to; o[neiron** (ტონეირონ), $\omicron\iota\ \omicron[\text{neiro}\sim\langle\alpha\rrho\chi.$ Ονειρον .

გ. **პონტოურში დასტურდება** ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც თანამედროვე და ძველ ბერძნულში რამდენიმე სინონიმური შესატყვისი გააჩნია, თუმცა მათგან პონტოურს ერთი შემოუნახავს.

ოთახი ძველბერძნულად არის - $\eta\ \text{jkamavra}$, $h\ \text{Jkamavrh}$ (კამარი) (ლათ. *camara*), **ახალ ბერძნულში** ოთახს აღნიშნავს აგრეთვე $\text{to } \delta\acute{\alpha}\mu\acute{\alpha}\tau\iota\omicron$ (დომატო), **პონტოურში** ვხვდებით მხოლოდ ერთ შესატყვისს - $\kappa\alpha\mu\acute{\alpha}\rho\iota\nu$ (კამარინ). არქაული $\kappa\alpha\mu\acute{\alpha}\rho\alpha$ -საგან გვიანდელი პერიოდის ბერძნულში მიღებულია კნინობითი ფორმა $\kappa\alpha\mu\acute{\alpha}\rho\iota\omicron\nu$, აქედან შუასაუკუნეების ბერძნულში დასტურდება Καμάριον და აქედან ახალ ბერძნულში - Καμάρι . პონტოური ფორმა, ჩანს, უფრო შუა საუკუნეების ენიდანაა: $\kappa\alpha\mu\acute{\alpha}\rho\iota\langle\mu\sigma\nu.$ $\kappa\alpha\mu\acute{\alpha}\rho\iota\nu\langle\mu\tau\gamma\nu.$ $\kappa\alpha\mu\acute{\alpha}\rho\iota\omicron\nu\langle\kappa\alpha\mu\acute{\alpha}\rho\alpha$.

$\delta\acute{\alpha}\mu\acute{\alpha}\tau\iota\omicron\langle\alpha\rrho\chi.$ $\delta\acute{\alpha}\mu\acute{\alpha}\tau\iota\omicron\nu\langle\delta\acute{\alpha}\mu\alpha\langle\alpha\rrho\chi.$ $\delta\acute{\alpha}\mu\alpha\langle\delta\acute{\epsilon}\mu\alpha$ ($\omicron\iota\kappa\omicron\delta\omicron\mu\alpha$), რაც პონტოურში არ ჩანს.

ტაშტი, გობი - ახალ ბერძნულშია - $\eta\ \lambda\epsilon\kappa\acute{\alpha}\nu\eta$ (ი ლეკანი), $\eta\ \sigma\acute{\alpha}\kappa\alpha\phi\eta$ (ი სკაფი), პონტოურსა და ძველ ბერძნულში მხოლოდ ერთი ფორმა გვხვდება $\sigma\acute{\alpha}\kappa\alpha\phi\acute{\iota}\rho$ (სკაფირ) (პონტ.), ძვ. ბერძნული - $h\ \text{Jskavfh}$ (ი სკაფი). $h\text{Jskavfh}$ ახალ ბერძნულშიც გვხვდება უშუალოდ არქაულისგან მიღებული, თუმცა ეს არ არის საკმარისი საფუძველი პონტოურში არსებული იგივე ლექსემა უშუალოდ არქაულიდან მომდინარედ ჩავთვალოთ.

$\lambda\epsilon\kappa\acute{\alpha}\nu\eta\langle\alpha\rrho\chi.$ $\lambda\epsilon\kappa\acute{\alpha}\nu\eta\langle\lambda\acute{\epsilon}\kappa\omicron\varsigma$ (= $\pi\iota\acute{\alpha}\tau\omicron$).

ცისფერი ახალ ბერძნულში გვხვდება - $\gamma\alpha\lambda\acute{\alpha}\zeta\iota\omicron\varsigma$, $\gamma\alpha\lambda\alpha\acute{\nu}\omicron\varsigma$, $\omicron\ \sigma\upsilon\rho\alpha\nu\acute{\eta}\varsigma$ (ღალაზიოს, ღალანოს, ურანის) ფორმით, **ძველში** ამავე მნიშვნელობის სიტყვა გამოითქმის $\omicron\ \text{ujravnio}\sim$ (ურანისო) (ციური, ზეციური), **პონტოურს** ცისფერის აღსანიშნავად ძველი ბერძნულის მსგავსად - $\sigma\upsilon\rho\alpha\nu\acute{\iota}\nu$ $\chi\rho\acute{\alpha}\mu\alpha\langle\sigma\upsilon\rho\alpha\nu\acute{\iota}\nu+\chi\rho\acute{\alpha}\mu\alpha$ (ურანინ ხრომა) (ცის,ზეცის ფერი) აქვს დამკვიდრებული, თუმცა $\omicron\ \sigma\upsilon\rho\alpha\nu\acute{\eta}\varsigma$ ახალ. **ბერძნულშიც** გვხვდება და, შესაბამისად, ვერ ჩავთვლით პონტოურისთვის უშუალოდ არქაულ ფორმად.

ბროწეული ძვ. ბერძნულად არის - $h\ \text{JrJoiav}$ (როია), $\text{ajnavriqmo}\sim$ (ანარიტმოს)-**უთვალავი**, აქედან **პონტოურს** - $\alpha\nu\acute{\alpha}\rho$ (ანარ) შემოუნახავს, ახ. **ბერძნულში** გვაქვს $\tau\omicron\rho\acute{\alpha}\delta\iota/\rho\acute{\alpha}\delta\iota$ (როდი), $\text{to } \rho\acute{\alpha}\delta\iota\omicron$ (როიდო). $\text{To } \rho\acute{\alpha}\delta\iota\langle\mu\sigma\nu.$ $\text{Ροίδιν}\langle\alpha\rrho\chi.$ $\rho\omicron\acute{\iota}\delta\iota\omicron\nu\langle\rho\omicron\acute{\iota}\delta\iota\alpha.$ Αναρίτμητος ახალ. ბერძნულშიც დასტურდება უთვალავის მნიშვნელობით.

ყევა - $\lambda\acute{\alpha}\gamma\mu\alpha\nu$ (ილაღმან) (პონტ.), ძველ ბერძნულში - bauvzw , uJlavw (ილაო), uJlakteuw , uJlavskw , uJflagma , ახ. ბერძნულში - $\text{to } \gamma\acute{\alpha}\beta\gamma\iota\sigma\mu\alpha$ (ღავდისმა) და uJlavkta ფორმას გავრცელებული. ამდენად, პონტოურში დადასტურებული $\lambda\acute{\alpha}\gamma\mu\alpha\nu$ არქაიზმი უნდა იყოს.

დ. ცალკე გამოვყოფთ პონტოურ ლექსიკას, რომლებიც მეტწილად ძველი ბერძნული ენის ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული:

ჯეირანი ძველ ბერძნულშია **algrio~** (ალრიოს) (ველური) **αλιγριο~** (იპპოს), **პონტოურში** გვაქვს **αγρείπον** (აგრეიპონ), **ახ. ბერძნულში** - **ηγκαιζέλλα** (კაზელა) ლათინური **Gazella**. **αγρείπον** - **ἀγριος+ίππος** (ველური ცხენი), თუმცა ცხენს ბერძნები კიდეც ეძახიან **ἀλοιον**, რაც **პონტოელებთან არ ჩანს**.

ჟინჯლი თანამედროვე ბერძნულად გამოითქმის - **ψιχαλίζε** (ფსიხალიზი), ძველ ბერძნულში გვაქვს **yilov~** (ფილოს), **broch v**(ვროხი) (**brevcw**), **პონტოურში** კომპოზიტის სახით დასტურდება **ψιλβρε[sh]ήν** (ფსილვრეშინ);

ე. **პონტოურში** დასტურდება სიტყვები, რომლებიც საერთოა ძველი და თანამედროვე ბერძნული ენისთვის, მათ ენის განვითარების არცერთ ეტაპზე ცვლილება არ განუცდიათ და პონტოურშიც ასეთივე ფორმით შენახულა. ამ შემთხვევაში ძნელია იმის მტიკიცება, ლექსემები რამდენად არქაულია, რომ პონტოურს უშუალოდ ძველი ბერძნული ენისგან მიუღია თუ პონტოურში მსგავსი ლექსემების არსებობა ენის განვითარების რომელიმე სხვა პერიოდის კუთვნილებაა. ასეთებია, მაგალითად:

კუთხე - **γανίαν** (ღონიან) (პონტ), **ახ. ბერძნულში** - **η γανία**, ძვ. ბერძნულში - **η gniva** (<αρχ. Γανία);

ნერვები - **το νεύρο** (ტო ნევრო) (პონტ.) - **ახ. ბერძნული** - **το νεύρο** (ტო ნევრო) - ძვ. ბერძნული - **το; neu`ron** (ტო ნევრონ), **νεύρο**<**νεύρον**;

პონტოურში საუზნობა - **πρωίζό** (პროიზონ) უნდა მომდინარეობდეს ძველი ბერძნული **prwviza** (პროიზა) - (დილით, ახალხანს) ფორმისგან, **ახ. ბერძნული** - **το πρωιό** (პროიონ). **πρωιο**, <**μτγν.πρωιο**<**πρωί**<**αρχ.επιρρ. πρωί**<**πρω**;

კითხვითი ზმნიზედა საიდან? **თანამედროვე ბერძნულში** არის **απόπου** (აპოპუ), აჭარაში მცხოვრებ **პონტოელთა** მეტყველებაში მისი შესატყვისია- **Απόθεν** (აპოთენ), რაც შუა საუკუნეების ბერძნულის ორი სიტყვის **απο**(დან/გან) + **ο`θεν** (საიდან) შერწყმის შედეგს წარმოადგენს, თუმცა ორივე მათგანი ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს. **a[poqen** - ძველ ბერძნულში **შორს, შორიდან** მნიშვნელობით გამოიყენება.

გალესილი - **პონტოურად** -**ακόνιον** (აკონილონ), **κατόνακονεμένον**, რომელიც მიღებული უნდა იყოს ძველი ბერძნული ზმნისგან - **ajkonavw** (აკონავო) - გალესვა, **h Jajkovnh** (აკონი) - (სალესი), **ახ. ბერძნული** - **ακονισμένος** (აკონიზმენოს), **οξυμμένος, τροχισμένος. ακόνη**<**αρχ. Ακόνη, ακόνι**<**μτγν. კნინობ. Ακονιον**<**αρχ. Ηακόνη. Ακονίζ**<**ακόνησα, αορ. Τουαρχ. άκονα. პონტოური ακόνιον** უფრო ახლოს დგას გვიანდელი ბერძნულის **Ακονιον** ფორმასთან -**γ** ფონემის დაკარგვით მიღებული (რაც ბერძნულისთვის ხშირია).

გრუხუნი, ქუხილი პონტოურად არის - **βρόντεμαν** (ვრონდემან), ასევე გამოითქმის ძველ ბერძნულში -**to; brovnthma** (ვრონდემა) - (η ძველ ბერძნულში იკითხება როგორც ე), **ახალ ბერძნულში** -**βρόντος- βρόντος/βροντα, <αρχ. Βροντα**<**βροντη** (ვრონტოს).

დასკვნა. გამოვლენილი მასალა ცხადყოფს, პონტოურს დაუცავს ბევრი არქაული ფორმა, რაც, როგორც ჩანს, პონტოელ ბერძენთა კონსერვატულმა ბუნებამ და კომპაქტური ცხოვრების წესმა განაპირობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერძენიშვილი, ლ., გარაყანიძე, ი., გორდუზიანი, რ., მიქაბერიძე, ა., ტონია, ნ., ფხაკაძე, მ., შახპაზიდი, მ., ჩეპიდი, ა., & ჯანაშია, ნ. (1990). *ბერძნები საქართველოში*. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“.

ბერძნულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი. Ελληνο-Γεωργιανο λεξικο. (2005). რედაქტორი ლელა ხოჭოლავა. თბ.

- გიორგაძე, მ., მგელაძე, ნ., ტუნაძე, თ., ძნელაძე, ნ., ლორია, მ., აბულაძე, თ., & ჩხარტიშვილი, ს. (2017). *პონტოელი ბერძნები აჭარაში - წარსული და თანამედროვეობა*. ბათუმი: გამომცემლობა „ემ ჯი ემ“.
- გორდეზიანი, რ. (2007)ა. *მედიტერანულ-ქართველური მიმართებები*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- გორდეზიანი, რ. (2007)ბ. *მედიტერანულ-ქართველური მიმართებები*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- გორდეზიანი, რ., დარჩია, ი., & შამანიდი, ს. (2001). *ძველი და ახალი ბერძნული შედარებითი გრამატიკა*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- Berikishvili, S. (2016). Morphological integration of Russian and Turkish nouns in Pontic Greek. *Language Typology and Universals. Stuf-Sprachtypologie and Universalienforschung*. Vol. 69. ISSUE 2.
- Berikashvili, S. (2017). *Morphological aspects of Pontic Greek spoken in Georgia*, (Hardbound). *Languages of the World* 54. 168 pp.
- Κηρυκοπουλος, Μ. Ι. (2014). *Λεξικό της ποντιακής διαλεκτού*. Αθηνά. εκδ. „Graphicart“.
- Τεγοπουλος, Φ. (1998). *Ελληνικό Λεξικό, ορθογραφικό ερμηνευτικό ετυμολογικό συνωνυμών αντίθετων κυρίων ονομάτων*. Θεσσαλονίκη. εκδ. „ελευθεροτυπία“.
- Τσοπουριδη, Θ. (1978). *Ελληνοποντιακό Λεξικό*. Θεσσαλονίκη.

REFERENCES

- berdzenishvili, l., garaqanidze, i., gordeziani, r., mikaberidze, a., t'onia, n., pkhak'adze, m., shakhp'azidi, m., chep'idi, a., & janashia, n. (1990). *berdznebi sakartveloshi [Greeks in georgia]*. Tbilisi: Publishing house „Tbilisis universiteti“.
- berdznul-kartuli ganmart'ebiti leksik'oni. Ellhno-Gewrgiano lexiko [Greek-georgian explanatori dictionary]*. (2005). Editor: Lela Khocholava. Tbilisi.
- giorgadze, m., mgeladze, n., t'unadze, t., dzneldadze, n., loria, m., abuladze, t., & chkhart'ishvili, s. (2017). *p'ont'oeli berdznebi ach'arashi - ts'arsuli da tanamedroveoba [Pontic Greeks in Ajara Past and present]*. Batumi: Publishing house „Em ji em“.
- gordeziani, r. (2007)ა. *medit'eranul-kartveluri mimartebebi [Mediterranean-georgian realations]*. Vol. II. Tbilisi: Publishing house „Logosi“.
- gordeziani, r. (2007)ბ. *medit'eranul-kartveluri mimartebebi [Mediterranean-georgian realations]*. Vol. III. Tbilisi: Publishing house „Logosi“.
- gordeziani, r., darchia, i., & shamanidi, s. (2001). *dzveli da akhali berdznuli shedarebiti gramat'ik'a [Old and new Greek comparative grammar]*. Tbilisi: Publishing house „Logosi“.
- Berikishvili, S. (2016). Morphological integration of Russian and Turkish nouns in Pontic Greek. *Language Typology and Universals. Stuf-Sprachtypologie and Universalienforschung*. Vol. 69. ISSUE 2.
- Berikashvili, S. (2017). *Morphological aspects of Pontic Greek spoken in Georgia*, (Hardbound). *Languages of the World* 54. 168 pp.
- Khpykopoyloc, M. I. (2014). *Lexiko thc pontiakhc dialektoy [Dictionary of pontiak dialect]*. Athens: „Graphicart“.
- Tegopoyloc, F. (1998). *Ellhniko Lexiko, orthografiko ermhneytiko etymologiko synwnymwn antithetwn kyriwn onomatwn [Greek dictionary, spelling interpretation, etymology of synonyms of opposite main names]*. Thessaloniki: „Eleytherotypia“.
- Tsoпойridh, Th. (1978). *Ellhnopontiako Lexiko [Greekpontiatic dictionary]*. Thessaloniki.